პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 152 (4146)

1970 წ. 5 აგვისტო, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სასიხარულო დეპეშა

თბილისის ვ. თორაძის სახელობის № 11 პროფტექნიკური სასწავლებლის ველოტურისტული ლაშქრობის (თბილისი — ვოროშილოვგრადი) მონაწილეებმა, წარმატებით დაასრულეს ლაშქრობა და დანიშნულების ადგილს მიაღწიეს. ღონისძიება საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავს მიეძღვნა.

ა. ზირგიძოვი,
ლაშქრობის ხელმძღვანელი.
ვოროშილოვგრადი.

# თინათინ ლეკვეიშვილმა ჩემპიონობა შეინარჩუნა

ლვოვი, 4 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ცურვის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, მეორე წელია შეჯიბრებები ახალი წესით ტარდება: ყველა რესპუბლიკაში ტურნირი (საუწყებო პირველობები ყველა საზოგადოებაში) ერთდროულად ეწყობა, რაც გამორიცხავს მანამდე არსებულ მანკიერ სტილს, როცა ერთიდაიგივე სპორტსმენი სხვადასხვა გუნდში ასპარეზობდა. ამას ისიც დაემატა, რომ 16 წლის „შესვენების" შემდეგ წლეულს აღადგინეს მოზარდთა საკავშირო პირველობები. ყოველივე ეს მიზნად ისახავს მიუნჰენის ოლიმპიადისთვის უკეთ მომზადებას და, საერთოდ, ცურვის შემდგომ აღმავლობას.

ამ ღონისძიებებმა სათანადო ნაყოფი გამოიღო: მოზრდილებში პროგრამის 24 სახეობიდან უკვე გამართულ ტურნირებში მაჩვენებლები შარშანდელთან შედარებით 11-ჯერ საგრძნობლად გაუმჯობესდა, თანაც რესპუბლიკებს მძლავრი სტიმული მისცა. ამიტომაა, რომ აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში წინანდელთან შედარებით რესპუბლიკებიდან მეტი სპორტსმენები გამოდიან. ეს პირველ ყოვლისა საქართველოს ეხება.

ცურვის საკავშირო ფედერაციამ მედლებისთვის ბრძოლაში რესპუბლიკური ჩემპიონატებიდან წარმოდგენილი ტექნიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით ყველა სახეობაში 16 უძლიერესი შეარჩია და ამ უძლიერესთა სიას ოთხ შემთხვევაში სათავეში უდგანან საქართველოს მოცურავეები — თ. ლეკვეიშვილი და ვ. კრასკო (100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვა).

ლეკვეიშვილი ასაკით გოგონათა ჯგუფს ეკუთვნის, მაგრამ იგი უკვე რამდენიმე წელია ქალებსაც ამარცხებს, ამიტომ წლეულსაც ოქროს მედლისთვის ბრძოლის სურვილი გამოთქვა და მიზანსაც მიაღწია: გუშინ 100 მეტრზე გულაღმა წინასწარ გაცურვაშივე დაამტკიცა, რომ ღირსეული მეტოქე არ ჰყავს, საღამოს კი საკმაოდ მაღალი შედეგით (1.09,0) ჩემპიონობა მოიპოვა. II იყო ლ. კომაროვა (კიევი) — 1.10,3, III — ლ. ბურბელო (ლენინგრადი) — 1.11,6.

თინათინს წლეულს ძნელი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი: სპორტში საკავშირო პირველობის შემდეგ ევროპის ჩემპიონატში ბრძოლა ელის, მაგრამ მთავარი სწავლა-განათლებაა. ამ ნიჭიერმა ქალიშვილმა საშუალო სკოლა კარგად დაამთავრა, მისი ოცნებაა ექიმი გახდეს, ამიტომ თავისუფალ დროს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება.

100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის რეკორდსმენმა ი. გრივენიკოვმა (მოსკოვი) დაამარცხა ვაჟთა შორის ქვეყნის რეკორდსმენი, თანაქალაქელი ვ. მაზანოვი (1.02,4). გამარჯვებულის დროა 1.01,8. III ადგილზე გავიდა ვ. ფილიმონოვი (მოსკოვი) — 1.03,1.

ჩემპიონატის მეორე დღემ სსრ კავშირის რეკორდების ცხრილში ორი შესწორება შეიტანა და ორივეს ავტორი ერთიდაიგივე სპორტსმენია: 200 მეტრზე თავისუფალი სტილით წინასწარ გაცურვაში 15 წლის ნოვოსიბირსკელმა ტ. ზოლოტნიცკაიამ რსფსრ-ს რეკორდი დაამყარა, ფინალში კი 2.13,9 აჩვენა და სსრ კავშირის რეკორდსმენი გახდა. მისი ეს შედეგი ქალების რეკორდს, რომელიც გაზაფხულიდან ნ. ლიტვინოვას (მოსკოვის ოლქი) ეკუთვნოდა, 2,1 წამით სჯობს, ხოლო მოსკოველ ნ. სუხოვცევას მიერ შარშან დამყარებულ გოგონათა საკავშირო რეკორდს 3,8 წამით აღემატება. ვერცხლი ხვდა გ. სინიცინას—2.16,7, ბრინჯაო — ი. ტერეშინას (ორივე— მოსკოვი) — 2.17,4.

ვაჟთა შორის ამავე სტილით ამავე დისტანციაზე ასპარეზობაში მეტად მჭიდრო შედეგები იყო. ჩემპიონმა, ხაბაროვსკელმა გ. კულიკოვმა (1.57,7) ქვეყნის რეკორდსმენს ლ. ილიჩოვს (მოსკოვი), რომელიც ბრინჯაოს დასჯერდა, 0,4 წამი მოუგო. ვერცხლი დაისაკუთრა ვ. ბურემ (მოსკოვი) — 1.58,0.

* * *

სურათზე: თ. ლეკვეიშვილმა სტარტი აიღო.

ო. გელაშვილის ფოტო.



გასულ კვირას მთაწმინდის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში ჩატარდა ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა დასვენების საღამო. აქ მოვიდნენ ხაწარმოს ფიზკულტურული კოლექტივის წევრებიც. გაიმართა ამხანაგური შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობასა და მაგიდის ჩოგბურთში. სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ჭადრაკში თ. გიორგაძემ ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი თხუთმეტ დაფაზე. მან 13 პარტია მოიგო და 2 წააგო.

სპორტული შეჯიბრებები გვიან ღამემდე გაგრძელდა.

* * *

სურათზე: ძმების გ. და ნ. ახალაურების ჭიდილი.

ა. კოტორაშვილის ტექსტი და ფოტო.



## ორნი საპრიზო ადგილებზე

ვოროშილოვგრადი, 4 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). კვირას აქ საზეიმოდ გაიხსნა პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა XII საკავშირო სპარტაკიადა. ბრძოლაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ორიათასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს. ყველა სახეობაში ცალ-ცალკე თამაშდება ჭაბუკებისა და გოგონების პირველობა. უძლიერესი გუნდები „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოსა და საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ პრიზებს მიიღებენ.

უკვე დამთავრდა ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში, რომელიც სპორტკლუბ „ზარიას" სპეციალიზებულ დარბაზში ჩატარდა. გოგონათა შორის შესანიშნავად იასპარეზეს ბელორუსიის გუნდის წევრებმა ა. კოშელმა, ნ. ლევინამ, ვ. ტიტარენკომ და თ. პრიხოდსკაიამ. ჩემპიონი გახდა კოშელი, რომელმაც 74,15 ქულა მოაგროვა.

ჭაბუკებში კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ საქართველოსა და სომხეთის ტანმოვარჯიშეები. პირველობა მოიგო ვ. ტერ-მელიქსეტიანმა (სომხეთი) — 110,67 ქულა. მას ოდნავ ჩამორჩნენ ზ. გეგეჭკორი და ნ. გარდავა, რომლებმაც შესაბამისად II და III ადგილები დაისაკუთრეს.

## ახალი ამბები

● ლუქსემბურგი, 3 აგვისტო. სამზატკეცილო ველორბოლის საბჭოთა ოსტატებმა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან, ბელგიისა და ლუქსემბურგის გზებზე გამართულ ტრადიციულ ტურში — „გრან პრი ფრანსუა ფაბერში" მიიღეს მონაწილეობა. ამ საერთაშორისო შეჯიბრების სტარტზე 6 ქვეყნის 70-მდე სპორტსმენი გამოვიდა. საბჭოთა მრბოლელების მთავარმა მწვრთნელმა ვ. კაპიტონოვმა საქდესის კორესპონდენტს მოუთხრო ამ ველოტურზე: „გრან პრი ფრანსუა ფაბერი" პირადი შეჯიბრებაა და ორ ეტაპად იმართება. ტრასა დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ინგლისის ქალაქ ლესტერში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ორივე ეტაპზე საბჭოთა ველოსიპედისტები იყვნენ საუკეთესონი: ჩებოქსარელმა ვ. იარდიმ პირველი ეტაპი (103,5 კმ — 2:38.55) მოიგო, გორკელმა ვ. ლიხაჩოვმა კი მეორე (137 კმ — 3:38.40). ორი ეტაპის ჯამშიც ჩვენები ლიდერთა შორის იყვნენ და შემდეგი ადგილები დაიკავეს: I. იარდი, II. ა. სტარკოვი (ხარკოვი), III. ვ. სოკოლოვი (ომსკი), V. ლიხაჩოვი, VI. ა. ვოდიანიკოვი (კუიბიშევი), VII. ნ. დმიტრუკი (მოსკოვი), VIII. გ. მიხაილოვი (ომსკი)".

● ორენბურგი, 3 აგვისტო. რიკაობაში რსფსრ-ის ჩემპიონი გახდა ნოვოსიბირსკის ჩკალოვის სახელობის ქარხნის ინჟინერი ნ. პოლიაკოვი. 90 ფიგურაზე მან 119 ჯოხი დახარჯა, რაც საკავშირო რეკორდის გამეორებაა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოვის ოლქის წარმომადგენლებმა.

● მოსკოვი, 3 აგვისტო. საცხენოსნო სპორტის ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატში დღეს ჩატარდა შეჯიბრება სამჭიდის სახეობაში — საველე გამოცდაში. კარგად გამოვიდა მოსკოველი ა. ზუევი, რომელიც ორი სახეობის შემდეგ ლიდერობს. მანამდე „გახსნის პრიზზე" დაბრკოლებათა გადალახვაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო ვ. კარტავსკიმ (რსფსრ). II ადგილზე გავიდა ი. ზიაბრევი (უკრაინა), III — ნ. პახომოვი (მოსკოვი). „ამორჩევით" დაბრკოლებათა გადალახვაში ჩემპიონი გახდა ვ. კოტიატკინი (რსფსრ). ცხენის გახედნაში „შესასვლელ პრიზზე" ასპარეზობა მოიგო ს. ბროდსკიმ (მოსკოვი), ხოლო „საშუალო პრიზზე" შეჯიბრებაში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა ე. პეტუშკოვამ (მოსკოვი).

● სოხუმი, 3 აგვისტო. წყალბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრების მეორე ტურში ორი მატჩი გაიმართა. სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო საქართველოს გუნდს (6:3), ხოლო სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებმა დაამარცხა რუმინელი წყალბურთელები — 8:4.

● ალმა-ათა, 3 აგვისტო. მოზარდ მოცურავეთა საკავშირო პირველობაში ყველა სახეობაში გამარჯვებისთვის 12-12 საუკეთესო სპორტსმენი ასპარეზობს. პირველივე დღეს სსრ კავშირის ჭაბუკთა ახალი რეკორდი დაამყარა ჩელიაბინსკელმა ვ. კარპოვმა, რომელმაც 200 მ ბატერფლაით 2 წუთსა და 13,3 წამში გაცურა. ეს შედეგი მისივე ძველ მიღწევაზე 2,4 წამით უკეთესია.

● ტრავემიუნდე, 3 აგვისტო. „ურჩხულის" კლასში მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატში — „ოქროს თასის" გათამაშებაში საბჭოთა აფროსნებმა არხანგელსკელი ი. ანისიმოვის თავკაცობით წარმატებით აიღეს სტარტი: გფრ-ის ამ ქალაქში მათ „ა" ჯგუფში პირველი რბოლა მოიგეს. მეორე ჯგუფშიც სოციალისტური სახელმწიფოს წარმომადგენლებმა იმარჯვეს: ფინიშთან პირველი იყო გდრ-ის ეკიპაჟი (მესაჭე — პ. ბოროვსკი). რეგატაში 11 ქვეყნის 68 ნავი მონაწილეობს. მოასპარეზენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველ რბოლებს მშვენიერი ამინდი დაესწრო. შეჯიბრება რამდენიმე დღეს გასტანს.

## ახალი ამბები

## $20^{45}$

◆ ჟიტომირი, 4 აგვისტო. რაკეტების მოდელებით აქ დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში ლიტველებმა კიდევ ერთი პირველი ადგილი დაიკავეს: ერთსაფეხურიანი რაკეტების კლასში ყველას აჯობა კაუნასელმა მოსწავლემ, 11 წლის გ. დაბაშინსკასმა. ნორჩი ლიტველი კონსტრუქტორები (მწვრთნელი ზ. აუგიავიჩუსი) საუკეთესონი იყვნენ გუნდურ ჩათვლაშიც და ი. გაგარინის სახელობის პრიზით დაჯილდოვდნენ. ეს მთავარი პრიზი საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის" რედაქციამ დააწესეს. II ადგილზე გავიდნენ მოსკოველი მოსწავლეები, III ადგილზეა უკრაინის მეორე გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპარტაკელთა ოჯახში

— „სპარტაკის“ საქართველოს ორგანიზაციებმა წარმატებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებები და ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. საწარმო-დაწესებულებებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლეთა 53,5 პროცენტი ფიზკულტურელია. შარშან 13719 კაცით გაიზარდა და 193 ათასს მიაღწია საზოგადოების წევრთა რიცხვმა, — ასე დაიწყო თავისი მოხსენება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ა. კორინთელმა საზოგადოების IV პლენუმზე, რომელიც თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის შენობაში გაიმართა.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ საზოგადოების ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა 31,6 პროცენტი ქალია. ფიზკულტურელთა და საზოგადოების წევრთა ზრდა განაპირობა კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებამ. ქუთაისში ფიზკულტურელია ამ საზოგადოების წევრ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 60,9 პროცენტი, გორში — 69,2, ფოთში — 60,7, ზესტაფონში — 56, სამხრეთ ოსეთში — 66,4 პროცენტი. კარგი მაჩვენებლები აქვთ, აგრეთვე, აბაშის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, თეთრი წყაროს, მცხეთის, ყვარლის რაიონებს.

ამ წარმატებებში დიდია ადგილმრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის, განათლების, კვების მრეწველობის, ავიაციის, ვაჭრობის მუშაკთა და სხვა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების წვლილი. სწორედ ამ პროფკავშირებს ეკუთვნით თბილისში სპორტკლუბ „სინათლის“, მანქანათმშენებლობისა და პოლიტექნიკური ტექნიკუმების, კინოსტუდია „ქართული ფილმის“, ავჭალის შუშისა და მეოთხე მექანიკური ქარხნების, სოხუმის აეროპორტის, საგალანტერიო ფაბრიკისა და ინდუსტრიული ტექნიკუმის, ბათუმში კოფეინის ქარხნისა და კურორტვაჭრობის, ქუთაისში ადგილმრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მინის ტარის ქარხნის, კოოპერაციული და ავტოტექნიკუმების, გორში საკონსერვო კომბინატის, ფოთში მელიორაციის ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებიც მომხსენებელმა სამაგალითოდ დაასახელა.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში სტიმულს იძლეოდა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. შარშან გამარჯვება მოიპოვა ადგილმრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურმა კომიტეტმა. პირველობა ხვდათ აფხაზეთის საოლქო, ქუთაისის საქალაქო, ზესტაფონის რაიონულ საბჭოებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საზოგადოებრივი კადრების მომზადებას და პრაქტიკულ საქმიანობაში მათ გამოყენებას. მარტო შარშან 3889 საზოგადოებრივი მუშაკი, ინსტრუქტორი, მწვრთნელი და მსაჯი მომზადდა. პლენუმზე ითქვა ისიც, რომ 122 ინსტრუქტორ-მეთოდისტიდან, რომლებიც ფიზკულტურულ კოლექტივებს უძღვებიან, ყველას უმაღლესი განათლება აქვს.

საწარმოო ტანვარჯიშის უკეთ ორგანიზაციის, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით შექმნილია მუდმივმოქმედი სემინარი, რომელიც საოლქო და საქალაქო საბჭოებში თვეში ერთხელ იკრიბება. 1968 წელთან შედარებით 1969 წელს საწარმოო ტანვარჯიში 84-ით მეტ კოლექტივში დაინერგა. გარდა ამისა, ადგილებზე მშრომელთა მასობრივად გაჯანსაღებას ემსახურებიან ტურიზმის, სპორტული თვითმოქმედებისა და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფები. ტურისტულ ლონისძიებებში შარშან 4 ათასამდე მშრომელმა (ოჯახის წევრებთან ერთად) მიიღო მონაწილეობა.

შემდეგ მომხსენებელმა საზოგადოების სპორტსმენთა მიღწევებზე ილაპარაკა. პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში სპარტაკელებმა 22-დან 21 სახეობაში იასპარეზეს — სამ სახეობაში ჩემპიონობა მოიპოვეს, ექვსში II ადგილები დაიკავეს, 8 სახეობაში კი მესამენი იყვნენ. საბოლოო ჩათვლაში საზოგადოების ნაკრები III ადგილზე გავიდა.

„სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში საქართველოს წარგზავნილებმა მოიპოვეს შვიდი I, ერთი II და ორი III გუნდური ადგილი. პირად პირველობაში თვრამეტი I, ჩვიდმეტი II, ცხრამეტი III ადგილი. ზ. ბერიაშვილმა მსოფლიო ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. ახალგაზრდა ფალავანთა მსოფლიო პირველობაში ვერცხლის მედლები ხვდათ ს. სუთიაშვილსა და თ. გეგეშიძეს. მაგიდის ჩოგბურთელი ს. სარხოიანი ევროპის პირველობის პრიზიორი გახდა.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადებას, ორატორმა დელეგატების ყურადღება გაამახვილა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს დადგენილებაზე, რომლითაც სპორტის სავალდებულო სახეობად ჩვენს რესპუბლიკაში რეკომენდებულია კრივი, მძლეოსნობა, ჭიდაობა (თავისუფალი და კლასიკური), ტანვარჯიში, ფარიკაობა, საგზატკეცილო ველოსპორტი, ძალოსნობა, ავტოსპორტი და თანამედროვე ხუთჭიდი.

ა. კორინთელმა ამხილა საზოგადოების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებიც. მან აღნიშნა, რომ ასპინძის, ბორჯომის, დმანისის, ონისა და ცაგერის რაიონებში დაბალია ფიზკულტურულ მუშაობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა პროცენტი. თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის, ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს, მაკარონის ფაბრიკის, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის, წულუკიძისა და ცხინვალის ავტოსატრანსპორტო კონტორების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა ვერ შეასრულეს გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები, რაც იმან გამოიწვია, რომ ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები მათ ნაკლებ დახმარებას უწევენ. ცუდადაა ორგანიზებული საწარმოო ტანვარჯიში აბაშის, გორის, ონის, საჩხერის, ყაზბეგის, ყვარლის, ცაგერის, წითელი წყაროს, კასპის, დუშეთის, ბორჯომის, ახალციხის, თიანეთის, ზუგდიდის, რუსთავისა და ტყიბულის ორგანიზაციებში. ბევრგან, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 500 კაცს აჭარბებს, ჯერ კიდევ არაა მოგვარებული ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატში აყვანის საკითხი.

პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ცუდად იასპარეზეს კალათბურთელმა ვაჟებმა და ფრენბურთელმა ქალებმა. თავიანთ შესაძლებლობებზე დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ ქართული ჭიდაობის ოსტატებს. წყალბურთში, წყალში ხტომაში, ბაიდარებით ნიჩბოსნობასა და სასტენდო სროლაში ნაკრები გუნდები არ დაკომპლექტებულა. სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში არც ერთი სპორტსმენი არ გამოუყვანიათ გორის, ჭიათურის, თელავისა და სამტრედიის ორგანიზაციებს. საკავშირო პროფკავშირულ სპარტაკიადაში საწარმოო კოლექტივებს შორის ცუდად გამოვიდნენ „სინათლის“ წარგზავნილები. სუსტადაა განვითარებული ველოსპორტი და სპორტთამაშები.

პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ: მ. კალანდაძე (თბილისი), შ. დვალაძე (აფხაზეთი), ჯ. კვიციანი (ქუთაისი), ო. ფუხაშვილი (გორი), ს. ცხადაძე (ზესტაფონი), ა. იორდანიშვილი (ავჭალის შუშის ქარხანა), კ. მირზოევი (სპორტკლუბი „სინათლე“), ფ. ყარალაშვილი (სპორტკლუბი „ისინდი“).

დასასრულ ჯილდოები გადაეცათ კონკურს-დათვალიერებასა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს.

# ცაში — რაკეტოპლანები

ჟიტომირი, 2 აგვისტო. „მიმინოს“ ტიპის რაკეტოპლანების ყველა მოდელს ერთი სიმძლავრის ძრავა აქვს. მაგრამ ჩერნიგოვის ოლქის ნორჩმა მცხოვრებმა ბ. პერეპადამ გააკეთა მოდელი, რომელმაც ჰაერში სხვებზე დიდხანს — 7 წუთსა და 7 წამს გაძლო.

...რაკეტა ცისკენ მიიწევს. მაყურებლები, მონაწილენი, მსაჯები შედეგს ელიან. აი, ძრავა გაჩერდა. რაკეტოპლანი ერთის წამით თითქოს იყინება ადგილზე, შემდეგ ისევ იწყებს ფარფატს და მიწაზე ეშვება. ახალგაზრდა კონსტრუქტორმა შვებით ამოისუნთქა.

— ახლა მთავარია, რომ რაკეტოპლანი უფრო დიდხანს გაჩერდეს ჰაერში და აეროდრომის ტერიტორიიდანაც ძალიან შორს არ წავიდეს, — ამბობს ახალი ჩემპიონის მწვრთნელი ი. სინეგუბი, რომელმაც გუნდი ჩამოიყვანა უკრაინის პატარა ქალაქ კოროპიდან (სწორედ ამ ქალაქში დაიბადა ლეგენდარული რევოლუციონერი, საფრენი აპარატების გამომგონებელი კიბალჩიჩი). — როგორც კი მოდელი თვალს მიეფარება, მსაჯები წამზომებს აჩერებენ...

ჟიტომირში სხვადასხვა ქალაქის მოდელისტებმა მოიყარეს თავი. კვირას გამოვლინდა კიდევ ერთი ჩემპიონი — „არწივის“ კლასში (ამ მოდელს „მიმინოზე“ ოთხჯერ მძლავრი ძრავა აქვს). ეს გახლავთ გომელელი პ. დაინეკო: ფრენის დრო — 10 წუთი. მეორე იყო მოსკოველი მ. კოროვინი — 8,57.

წინაა ასპარეზობის კიდევ სამი სახეობა. ჯერჯერობით კი გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგს მოსკოვის კოლექტივმა მიაღწია. კვირას მას ლიდერობა დაუთმეს ყირგიზეთის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის მოდელისტებმა, რომლებმაც თავის მხრივ ჩამოიტოვეს უკრაინელი სპორტსმენები.

რაკეტების ასლების შეჯიბრებაში (მესამე კლასი) დიდი წარმატება მოიპოვა კაუნასის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ რ. ვილჩინსკასმა. მისმა „სოიუზმა“ I ადგილი დაიკავა. ეს მოდელი 283 მ სიმაღლეზე აიჭრა, ხოლო მანევრებისა და დამზადების ხარისხისთვის 1162 ქულა მიიღო.

— ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე მოდელების კონსტრუირებაში დიდი წინსვლა იგრძნობა, — უთხრა საქდეს-ის კორესპონდენტს შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, დნეპროპეტროვსკელმა ბ. რუსანოვმა. — ახლა შესანიშნავ რაკეტებს აკეთებენ არა მარტო ყოფილი ჩემპიონები — მოსკოვის ოლქის წარმომადგენლები, არამედ ყირგიზეთის, ბელორუსიის, ლიტვისა და სხვა რესპუბლიკების სპორტსმენებიც. ამას მოწმობს შედეგების დიდი სიმჭიდროვე და მოდელების ხარისხი.

მაგალითად, ბელორუსიის გუნდმა ერთი სიახლე ჩამოიტანა ჟიტომირში: ესაა მოწყობილობა რაკეტოპლანის იძულებითი დაშვებისთვის, რომელსაც დღემდე არავინ იყენებდა. მე ვფიქრობ, საბჭოთა მოდელისტები უკვე დაოსტატდნენ საიმისოდ, რომ წარმატებით გამოვიდნენ საერთაშორისო სარბიელზე.

წლევანდელმა ასპარეზობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მოსწავლეთა დიდი სწრაფვა რაკეტების ტექნიკის შესწავლისკენ.

* * *

ხვალ საღამოს შეჯამდება საკავშირო ასპარეზობის შედეგები, გაირკვევა სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტების — ი. გაგარინისა და ვ. კომაროვის სახელობის პრიზების მფლობელთა ვინაობა. (საქტაგ-ი).

[illegible]

**ჩხოროწყუ**

გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით. თავი გამოიჩინა ჩხოროწყუს 1-ლი სკოლის მერვეკლასელმა ქ. ლაგვილავამ, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. გუნდურ ჩათვლაშიც ამ სკოლის მოჭიდავეებმა იმარჯვეს.

ს. ჯალაღონია.

**ცაგერი**

აქ დამთავრდა პროფკავშირთა რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სროლა და ჭადრაკი. ფრენბურთელ ვაჟთა შორის გაიმარჯვეს მე-20 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის წარმომადგენლებმა, ხოლო ქალთა შორის ყველას აჯობა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა. მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში ტოლი არ ჰყავდათ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გუნდებს, ხოლო სროლაში უძლიერესი იყო სახელმწიფო დაწესებულებების პროფკავშირთა კოლექტივი. ოთხი სახეობის საერთო ჩათვლაში I ადგილი და გარდამავალი თასი წილად ხვდათ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლებს.

ზ. ხვადაგიანი.



# შეჯიბრება წყალქვეშ



სურათებზე: თბილისელი ვ. სტაშევსკი წყალში ჩაშვების წინ; გოგონათა შორის გამარჯვებული, თბილისელი ც. ჩიტაიშვილი; საქართველოს ჩემპიონი წყალქვეშა სპორტში, სოხუმელი ვ. ჭანტურია სტარტის წინ.

ავტორის ფოტო.



## გუნდური პირველობა თბილისელებმა მოიგეს

სოხუმში რამდენიმე დღეს გაგრძელდა საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება წყალქვეშა სპორტში. სტარტზე გამოვიდნენ თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის გუნდები. გუნდურ ჩათვლაში შედიოდა ვაჟების, ქალების, ჭაბუკებისა და გოგონების გამოსვლათა შედეგები.

შეჯიბრება დოსააფის ტირში გაიხსნა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სროლაში. აქ ქალთა შორის საუკეთესო შედეგს (73 ქულა) მიაღწია თბილისელმა ვ. ხრიაშჩევამ. II ადგილზეა მისი თანაგუნდელი ლ. სეროვა. ვაჟებში პირველობდა აფხაზეთის წარმომადგენელი ვ. ჭანტურია — 81 ქულა, II ადგილზეა ვ. ფომინი (თბილისი), III — ა. მომინტი (აფხაზეთი). გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა თბილისის გუნდი.

ასპარეზობის მეორე დღე წყალქვეშ კურსის შეცვლითა და ორიენტირით ცურვას დაეთმო. აქ ყველას აჯობეს ვ. ხრიაშჩევამ და სოხუმელმა ნ. შაროვამ, რომელთაც თითო დაბრკოლება გადალახეს. ვაჟთა ტურნირში 250 ქულა მოაგროვა ვ. ჭანტურიამ, რომელმაც ორი ზონა გადალახა. II და III ადგილები გაიყვეს ა. ბოგატირიოვმა და ვ. სტაშევსკიმ (ორივე — თბილისი).

გამარჯვება წყალქვეშ კურსის შეცვლით და ორიენტირით ცურვაშიც ვ. ჭანტურიას ხვდა, რომელმაც ორი ზონა გაიარა. დანარჩენმა შვიდმა მონაწილემ თითო ზონა გაიარა. ამ ვარჯიშმა გამარჯვება აფხაზეთის გუნდს მოუტანა.

წყალქვეშ 500 მეტრზე ცურვაში (შემდეგ ნაპირზე ამოსვლით) ჭაბუკთა შორის I ადგილი დაიკავა სოხუმელმა ვ. ილიუშინმა, რომელმაც 4 მ გადახრა აჩვენა. თბილისის წარმომადგენელმა ც. ჩიტაიშვილმა აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მიაღწია — ფინიშის ცენტრიდან გადახრა სულ 1 მეტრს უდრიდა.

გუნდური პირველობა მოიპოვეს თბილისელებმა — 3378 ქულა. II ადგილზე არიან აფხაზეთის (1916 ქულა), III — აჭარის წარმომადგენლები (966 ქულა).

რესპუბლიკის ჩემპიონთა წოდება მიეკუთვნათ ვ. ხრიაშჩევას და ვ. ჭანტურიას.

საქართველოს დოსააფის წარმომადგენელმა ა. ლავრენტიევმა გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცა.

დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც საკავშირო ფინალურ ასპარეზობაში გამოვა.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფეხბურთი

### [illegible]

საკავშირო ჩემპიონატის 3 აგვისტოს მატჩებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან სწორედ ამ ტურში შედგა რამდენიმე პრინციპული, პირველხარისხოვანი შეხვედრა.

მათგან ერთ-ერთი უმთავრესი იყო მატჩი კიევში ადგილობრივ და მოსკოვის დინამოელთა შორის. გათამაშების ლიდერებმა — მოსკოველებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს თავიანთი სერიოზული განზრახვები მიმდინარე ჩემპიონატში. სიომინმა მატჩის დასაწყისში და კოზლოვმა ბოლო წუთებზე 2 უპასუხო ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ სეზონში მოსკოვის „დინამო" უკვე მესამედ ამარცხებს კიეველებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მოსკოვის გუნდების — „სპარტაკისა" და ცსკა-ს შეხვედრა, რომლის ამბებსაც გუშინდელ ნომერში ვიტყობინებოდით.

4 ბურთი იქნა გატანილი „ზარიასა" და როსტოვის არმიელთა შეხვედრაში. ანგარიში გახსნა როსტოველმა ანტონოვმა. საპასუხო ბურთი გაიტანა ეურავლიოვმა პენალტით, შემდეგ დაწინაურდნენ მასპინძლები (ელისეევი) და როსტოველებს ქულის სახსნელად მოუხდათ ბრძოლა. ეს 83-ე წუთზე შეძლო ესკოვმა — 2:2.

„ფახთაქორისა" და ორჯონიკიძის „სპარტაკის" შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც აბდურაიმოვმა გაიტანა სპარტაკელთა კარში — 1:0. აღსანიშნავია, რომ მანამდე „სპარტაკის" მეკარე ოლეინიკმა შეძლო პენალტის აღება იმავე აბდურაიმოვისგან.

ჩემპიონატის საუკეთესო ხნაიპერია მოსკოვის „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელი ვ. კოზლოვი — 12 გოლი.

უმაღლესი ჯგუფი

სსრ კავშირის პირველობა

# მისი უდიდებულესობა — გოლი!

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 3 აგვისტო.

„დინამო" (თბილისი) — „ნევთჩი" (ბაქო) 1:0 (0:0).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი (მაჩაიძე), კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

„ნევთჩი": კრამარენკო, ყულიევი, ბრუხტი, ბაბაევი, ზეინალოვი, მირზოიანი, სტეკოლნიკოვი (რახმანოვი), სმოლნიკოვი, ალი-ზადე (აბდულაევი), გაჯიევი, შევჩენკო.

მსაჯი ი. მეილახშტეინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:0 „დინამოს" სასარგებლოდ.

ვის შეიძლება ეჭვი შეეპაროს იმ გოლის ავკარგიანობაში, რომელიც ხურცილავამ გაიტანა ბაქოელთა კარში 89-ე წუთზე? რა თქმა უნდა, არავის. ეს იყო გოლი, რომელიც ასეთ მატჩს კი არა მსოფლიო პირველობის ფინალს დაამშვენებდა. როგორც იტყვიან, მისი უდიდებულესობა — გოლი!

ვერც შემთხვევითობას მიაწერ ხურცილავას ამ გადამწყვეტ დარტყმას. მას ადრეც არაერთხელ გაუტანია ასეთი გოლები და, ამდენად, ეს ჩვენი გუნდის სტოპერის გარკვეულ „ვიწრო სპეციალობას" წარმოადგენს. ბურთი გათამაშებულ იქნა მარჯვენა ფლანგზე, გადაეცა ცენტრისკენ, აქ, შემხვედრ გზაზე, იგი მიიღო ხურცილავამ და გაუჩერებლად, დაუმუშავებლად დაარტყა კარში (ვინც თბილისელთა ვარჯიშა ადევნებდა თვალს მატჩის წინ, შეამჩნევდა, რომ ხურცილავამ ასეთი დარტყმა რამდენიმეჯერ შეასრულა და ზუსტადაც). კრამარენკომ ბოლო მომენტში შეასრულა ნახტომი, მისწვდა კიდეც ბურთს, მაგრამ უკვე გვიან იყო. 1:0! ქულა, რომლის მოპოვებასაც ბაქოელებმა კოლოსალური ენერგია შესწირეს, მათ თვალსა და ხელს შუა გამოეცალათ.

რა გვაქვს საპრეტენზიო გამარჯვებულთა მიმართ, რომლებმაც, ასეა თუ ისე, მაინც შეძლეს 2 საჭირო ქულის აღება და არ დაიტოვეს ეს ხინჯი 8 აგვისტოს საფინალო მატჩისთვის მოსკოვში?

გვაქვს და აი, რა:

უმთავრესი ის, რომ „ნევთჩისთან" მატჩში არ შეიძლება დარჩე არა თუ ბოლო წუთების, საერთოდ, მეორე ტაიმის იმედითაც. საქმე დროზე უნდა მოთავდეს, ადრევე. ხომ შეიძლებოდა ხურცილავას ეს დარტყმა რაიმე მიზეზით არ შემდგარიყო? ქულა უიმედოდ დაკარგული გახლდათ.

„ნევთჩი" აღარაა ის გუნდი, რომელიც ადრე თბილისის „დინამოს" წინაშე მოწაფესავით გამოიყურებოდა და საკუთარ მინდორზე ფრეს ორივე ხელით ეპოტინებოდა. ბაქოელებმა, ჯერ ერთი, რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი აღზარდეს და თამაში ისწავლეს, და მეორეც — ისწავლეს თავგამოდებული, ფანატიკური, უშეღავათო ბრძოლა. უმაღლეს ლიგაში ახლა არ გვეგულება მეორე გუნდი, რომელიც ასეთი ბრძოლისუნარიანი იყოს. გაიხსენეთ პირველი წრის მატჩი ბაქოში, ნახევარფინალი თბილისში და ეს შეხვედრაც. „ნევთჩის" თითოეული მოთამაშე მატჩს აძლევს ყველაფერს, მაქსიმუმს, რაც კი გააჩნია და ცოტა მეტსაც. რა არის ეს „ცოტა მეტი"? ყველაფერი, სხვადასხვა სახის „დამხმარე საშუალებანი": ე. წ. ბინძური თამაში, დროის გაჭიანურება, ბურთის გადაგდება, დარტყმები სასტვენის შემდეგ, მსაჯებთან კამათი, მეტოქეებთან შელაპარაკება, მოურიდებლობა და ა. შ.

მთელ ამ კომპლექსს რომ გაითვალისწინებ, ნათლად დარწმუნდები ბაქოს გუნდთან შეხვედრის დიდ სიძნელეში. ამას გარდა, „ნევთჩის", ეტყობა, არ სურს ჩამორჩეს თბილისის „დინამოს" და ამიტომ მასთან თამაშობს ძალების საგანგებო მობილიზებით, საგანგებო მონდომებით, სპეციალურად. სწორედ ამიტომ იყო საჭირო ამ მატჩის ჩატარება ისე, რომ საქმე მოთავებულიყო არა 89-ე წუთზე, სათუოდ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, პირველ ტაიმში.

აი, ამ პირველ ტაიმს ეკუთვნის ჩვენი პრეტენზიები. დინამოელებმა იგი ძალიან ცუდად, უსისტემოდ და მოუნდომებლად ჩაატარეს. ეს განსაკუთრებით ეხებათ თავდამსხმელებს. ვიხსენებთ, ვიხსენებთ და მთელი ტაიმის განმავლობაში გვახსენდება სულ ორი მომენტი. ერთი, როცა ასათიანის შორეული დარტყმა აიღო კრამარენკომ და მეორე, როცა 41-ე წუთზე გავაშელმა სულ რაღაც სამი ნაბიჯიდან ზეცას ტყორცნა ბურთი. დანარჩენი დრო მოუნდა მინდვრის შუაგულში ტკეპნას, უმნიშვნელო, ყოველგვარ სიმწვავეს მოკლებულ გადაცემებს. არავითარი ტემპი, მოულოდნელობანი, გართულებანი. ნოდიამ დაკარგა ყველა ბურთი, რომელიც კი მას გადასცეს. უკეთესი არც გავაშელი იყო, ვინაიდან იგი ინდივიდუალური წესით ცდილობდა კართან გასვლას, ამას კი ვერ ახერხებდა. არაზუსტად ასრულებდნენ გადაცემებს მეტრეველი, კუტივაძე, პეტრიაშვილი.

საერთოდ, დინამოელები არ ჩქარობდნენ. სტანდარტულ მდგომარეობებშიც კი, საჯარიმო, თავისუფალი, კარიდან დარტყმაც ხდებოდა ნელა, აუჩქარებლად, საშუალო სისწრაფით. ბაქოელებს ეს ხელს აძლევდა, თამაშის ამგვარი მსვლელობისას მათ შეეძლოთ აეღოთ ქულა.

ერთი სიტყვით, პირველი ტაიმი თბილისელებმა პირწმინდად დათმეს. დაიწყო თამაშის მეორე ნახევარი და ბრძოლის სურათი მთლიანად შეიცვალა. საკმარისი იყო დინამოელებს ჩაერთოთ სისწრაფე, აეჩქარებინათ ტემპი და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: უკვე პირველივე ხუთ წუთში სტუმრების კართან გაცილებით ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა, ვიდრე მთელი პირველი ტაიმის მანძილზე. შეტევა შეტევას მოსდევდა, გარღვევა — გარღვევას. ამოქმედდა თბილისელთა თავდასხმა, ასათიანი გადაუჭრელ პრობლემად იქცა „ნევთჩისთვის", გააქტიურდა კუტივაძე, კარგად ჩაერთო ბრძოლაში მაჩაიძე, უკანა ხაზის ორგანიზებულობაში თავისი სიტყვა თქვა ცხოვრებოვისა და ჰელიძის გამოცდილებამ.

აი, აქ დასჭირდათ ბაქოელებს ის „დამხმარე საშუალებანი", რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. კრამარენკოს, ისევე როგორც წინა შეხვედრაში, არაერთხელ მოუხდა თავისი გუხდის ხსნა აშკარა ხიფათისგან. მეკარეს მოსვენება არა ჰქონდა, მაგრამ მას გარკვეულ „შეღავათს" აძლევდნენ თვით დინამოელებიც, რომლებიც უმოწყალოდ კარგავდნენ კარის აღების საუკეთესო შესაძლებლობებს.

44 წუთს გაუძლო „ნევთჩიმ" ამ შტურმს და ამ მიწურულს დაემთხვა ხურცილავას მიერ უმაღლესი ოსტატობით შესრულებული შორეული დარტყმა, რომელმაც ჩვენს გუნდს 2 ქულა მოუტანა.

გ. ქორქია.

# ხერხაძეს მხარს არ უჭერდნენ

ერევანი. რესპუბლიკური სტადიონი. 3 აგვისტო.

„არარატი" (ერევანი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2:1 (0:0).

„არარატი": რაზინსკი (დემერჩიანი), ოვანესიანი, აბრამიანი, კოვალენკო, მესროფიანი, ანდრიასოვი, ბონდარენკო, იშტოიანი (პოღოსიანი), კაზანჩიანი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე, წივწივაძე, ჭოხონელიძე, მერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ანფიმიადი, სანაია, ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა.

მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი).

დუბლიორები — 2:0 „არარატის" სასარგებლოდ.

ქუთაისელთა მდგომარეობა ყველასთვის ცნობილია. საუკეთესოდ აღებული სტარტის შემდეგ ტორპედოელებმა როგორღაც უცებ, მოულოდნელად დათმეს პოზიციები. ცხადი იყო, რომ „არარატი" თავიდანვე შეეცდებოდა მეტოქის ფორმის არ დაკარგვის გამოყენებას და პირველივე წუთებიდან იბრძოლებდა უპირატესობის მოსაპოვებლად. სტუმრებმა გაითვალისწინეს ეს და მოპირდაპირე თავდამსხმელები მკაცრი ინდივიდუალური მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს. ეს იყო პრესინგი მთელ მინდორზე და მან დასაწყისში დაბნეულობა გამოიწვია ერევნელთა რიგებში. მათ ვერ შეძლეს საპასუხო კონტრზომების გატარება და დამორჩილდნენ ქუთაისელთა გეგმას, რის შედეგადაც ამ უკანასკნელთ პირველ ტაიმში კარის აღების რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა შეექმნათ. ძალზე ხელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ ვეკუა, ხერხაძე და წივწივაც კი, რომელმაც თავისი რეიდი შორიდან კარში დარტყმით დაამთავრა და „არარატი" იღბლად გადაურჩა გოლს.

სახიფათო მომენტი ერევნელებსაც ჰქონდათ. კერძოდ, გოგიამ შეძლო ბურთის მოგერიება ზანაზანიანთან პირისპირ ბრძოლაში.

ერევნელებმა სათანადო ანალიზი გაუკეთეს პირველ ტაიმში მომხდარ ამბებს და შესამჩნევად გააძლიერეს თამაში შესვენების შემდეგ. თავდასხმა ამოქმედდა სრული ძალით, ნახევარმცველებმაც წინ გადმოიწიეს და სულ მალე მიზანიც მიღწეულ იქნა: კაზანჩიანმა ზუსტად შეურჩია ადგილი მესროფიანის მიერ მოწოდებულ ბურთს — 1:0.

საკმარისი გახდა ამ გოლის გაშვება და ქუთაისელებმა მაშინვე დაკარგეს ბრძოლის ყოველგვარი ხალისი. ერთადერთი, ვინც ცდილობდა სიცოცხლე შეეტანა თამაშში და აეყოლიებინა პარტნიორები, იყო ხერხაძე, მაგრამ მას არავინ უჭერდა მხარს.

ეს პასიურობა გუნდს მეორე გოლად დაუჯდა. ისარგებლა რა მოპირდაპირე ფორვარდების უმოქმედობით მესროფიანმა კიდევ ერთი რეიდი შეასრულა, შორიდან ძლიერად დაარტყა და ზანაზანიანმა თავით შეუცვალა მიმართულება ბურთს — 2:0.

მატჩის ბოლო წუთებში ტორპედოელებმა შეძლეს თავი დაეღწიათ „მშრალი" ანგარიშით დამარცხებისთვის. ხერხაძემ მოატყუა ორი მცველი, გადასცა ბურთი ვეკუას, მან განაგრძო იერიში და დემერჩიანთან პირისპირ დარჩენილმა გაიტანა გოლი. მეტი სტუმრებმა ვეღარ შეძლეს.

ს. მირუმიანი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 11 | 4 | 3 | 27—10 | 26 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 19 | 8 | 8 | 3 | 31—16 | 24 |
| „დინამო" (თბილისი) | 17 | 9 | 5 | 3 | 23—11 | 23 |
| „დინამო" (კიევი) | 18 | 10 | 3 | 5 | 21—14 | 23 |
| ცსკა | 18 | 9 | 3 | 6 | 25—12 | 21 |
| სკა (დონის როსტოვი) | 18 | 5 | 10 | 3 | 13—10 | 20 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 17 | 7 | 6 | 4 | 16—14 | 20 |
| „არარატი" (ერევანი) | 18 | 8 | 4 | 6 | 17—16 | 20 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 18 | 6 | 7 | 5 | 15—17 | 19 |
| „ნევთჩი" (ბაქო) | 18 | 5 | 7 | 6 | 17—14 | 17 |
| „დინამო" (მინსკი) | 18 | 5 | 6 | 7 | 19—18 | 16 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 18 | 4 | 7 | 7 | 11—26 | 15 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 17 | 4 | 5 | 8 | 15—30 | 13 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 17 | 4 | 4 | 9 | 16—27 | 12 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 18 | 3 | 6 | 9 | 10—21 | 12 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 19 | 2 | 8 | 9 | 9—20 | 12 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 18 | 3 | 5 | 10 | 18—27 | 11 |

# ველოსა და გორაკებზე

ერევანი, 3 აგვისტო. „ზაპოროჟეცების", „მოსკვიჩებისა" და „ვოლგების" 116 ეკიპაჟმა აიღო გუშინ საკავშირო ავტორალის სტარტი. შეჯიბრებაში მონაწილეობს 230 ვაჟი და 2 ქალი. სამ რგოლად დაყოფილი ტრასის სიგრძე 2371 კილომეტრია. მრბოლელებმა ექვსი უღელტეხილი უნდა გადალახონ.

სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისა და, ამავე დროს, სამხედრო-ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელისთვის იბრძვიან თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები. ცალკე გუნდებით არიან წარმოდგენილი მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის ქარხანა, გორკის, იჟევსკისა და ზაპოროჟიეს ავტოქარხნები.

ერევნის იპოდრომზე და ახლომდებარე ქუჩებზე შეკრებილი მაყურებლები მხურვალედ მიესალმებოდნენ სახელგანთქმულ საბჭოთა „მექსიკელებს" — ლონდონ—მეხიკოს ავანწინანდელი საკონტინენტთაშორისო მარათონის მონაწილეებს, აგრეთვე, წლევანდელ საკავშირო რალიში მოახპარეზე ქალებს.

მინსკის მეფეხსაცმელეთა გაერთიანება „ლუჩის" მძღოლი მარია მაკარჩუკი ხუთი წელია ავტოსპორტს მისდევს. იგი ბელორუსიის ჩემპიონია „მოსკვიჩ-412"-ის კლასში, ამასთან, სპორტის ოსტატობის კანდიდატიც არის.

— მე ვოცნებობდი „მოსკვიჩ-408"-ის კლასში საუკეთესოთა ხუთეულში მოხვედრაზე, რაც ოსტატის წოდებას მომიტანდა, მაგრამ ახლა მოხარული ვიქნები, თუ რბოლის დამთავრება შევძელი. ტრასა ძალიან რთულია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს მინსკელმა მრბოლელმა.

ერთი წლით ნაკლები სპორტული სტაჟი აქვს ოსტატობის კანდიდატს ინტა ციბერეს — რიგის ავტობუსების ქარხანა „რაფის" მძღოლ-გამომცდელს. მაგრამ პირველივე საკავშირო რალიში მან ვერცხლის ჯილდო მიიღო „ვოლგის" კლასში. შემდეგ ციბერე ბევრჯერ იყო რესპუბლიკური შეჯიბრების პრიზიორი. ახლა ინტაც მხოლოდ რბოლის დამთავრებაზე ოცნებობს, მაგრამ მეწყვილე, სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ვ. მასლენიკოვი მას არ ეთანხმება. ეს უკანასკნელი პირობას დებს, რომ ეკიპაჟი მაღალი ადგილისთვის იბრძოლებს.

2 აგვისტოს, ნაშუადღევს, მრბოლელები ერევანში დაბრუნდნენ და ხანმოკლე შესვენების შემდეგ კვლავ დაადგებიან გზას.

5 აგვისტოს ცნობილი გახდება ოქროს მედლების მფლობელთა ვინაობა.

(საკდესი).

II ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

II ზონა

მდგომარეობა 5 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 22 | 11 | 8 | 3 | 28—6 | 30 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 22 | 10 | 9 | 3 | 26—12 | 29 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 22 | 11 | 5 | 6 | 30—19 | 27 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 22 | 9 | 9 | 4 | 22—20 | 27 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 22 | 10 | 6 | 6 | 31—21 | 26 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 22 | 9 | 8 | 5 | 26—21 | 26 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 22 | 8 | 10 | 4 | 24—19 | 26 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 22 | 9 | 8 | 5 | 25—27 | 26 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 22 | 9 | 5 | 8 | 23—21 | 23 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 22 | 9 | 4 | 9 | 28—21 | 22 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 22 | 6 | 10 | 6 | 21—22 | 22 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 22 | 8 | 6 | 8 | 26—27 | 22 |
| „დილა" (გორი) | 22 | 8 | 5 | 9 | 30—30 | 21 |
| „ვოლგა" (გორკი) | 22 | 7 | 7 | 8 | 24—25 | 21 |
| „დინამო" (ბათუმი) | 22 | 8 | 5 | 9 | 18—23 | 21 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 22 | 7 | 6 | 9 | 17—22 | 20 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 22 | 7 | 5 | 10 | 28—26 | 19 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 22 | 5 | 9 | 8 | 19—20 | 19 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 22 | 5 | 9 | 8 | 19—27 | 19 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 22 | 5 | 6 | 11 | 19—33 | 16 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 22 | 2 | 7 | 13 | 9—27 | 11 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 22 | 2 | 7 | 13 | 12—37 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

# ორი წვეთი წყალივით

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 აგვისტო.
„დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) 96:94 (46:45).
„დინამო“: მოსეშვილი (24), საკანდელიძე (23), ფიცხელაური (14), ჩიხლაძე (8), მაღალაშვილი (8), ბოლქვაძე (6), ქორქია (6), სხიერელი (5), ვასიუტინსკი (2).
„სტროიტელი“: კოპიჩკო (27), კოვალენკო (18), ფილოზოფი (14), შაბლინსკი (12), მარტინოვი (12), სმოლიაკოვი (8), ზაბროდა (2), სტარჩაკი (1), ოპარინი.
მსაჯები: ნ. შარგანოვი, მ. გრიგორიევი (ორივე — მოსკოვი).

„სტროიტელის“ შემადგენლობაში ამ დღეს არ იყო სამი ძირითადი მოთამაშე ვალტინი, პოლივოდა და გლადუნი. და მაინც, გუნდი მოედანზე გამარჯვების მტკიცე რწმენით გამოვიდა. ვეტერანების ადგილი ხუთეულში სმოლიაკოვმა, ზაბროდამ და კოპიჩკომ დაიკავეს. განსაკუთრებით კარგად შეეწყო ანსამბლს კოპიჩკო, რომელმაც კოვალენკოსთან და ფილოზოფთან ერთად თავის ზურგზე გადაიტანა ბრძოლის მთელი სიმძაფრე.

თბილისელებიც (საკანდელიძე, ჩიხლაძე, ბოლქვაძე, მოსეშვილი, ქორქია) თავიდანვე მძიმე და უშეღავათო ბრძოლისთვის განეწყვნენ. ალბათ ამიტომ იყო, რომ პირველ ტაიმში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო დაწინაურება. მაგრამ მეტოქეებს გამარჯვების ისეთი დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ მთელი აქცენტი თავდასხმაზე გადაიტანეს და დაცვის ელემენტარული ნორმებიც კი უგულებელყვეს. სწორედ ასეთი ცალმხრივი ტაქტიკის შედეგი იყო, რომ ბურთი მუდმივად ხან ერთი გუნდის ფარზე ტრიალებდა, ხან მეორისაზე.

მეტოქეებს ტაქტიკა შესვენების შემდეგაც არ შეუცვლიათ. მაგრამ ეს კი იყო, რომ „დინამომ“ უფრო ორგანიზებულად წარმართა შეტევები და განსაკუთრებით მათი დასკვნითი ფაზა. ეს, სხვათა შორის, მაშინვე დაეტყო ანგარიშს. თუ მანამდე ერთი რომელიმე გუნდის უპირატესობა 2-3 ქულით გამოიხატებოდა (ხშირად სადემონსტრაციო დაფა თანაბარ ანგარიშს აჩვენებდა), მეორე ტაიმში სხვაობა ნელ-ნელა მასპინძლების სასარგებლოდ გაიზარდა და ბოლოს მან 19 ქულას მიაღწია.

ეს იყო თბილისელთა უპირატესობის კულმინაცია (ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საკანდელიძემ, მოსეშვილმა, ბოლქვაძემ), რომელსაც მოჰყვა მასპინძელთა საბრძოლო სულისკვეთების მკვეთრი დაქვეითება (ჩვენი გუნდის ძველისძველი სენი). გაიხსენეთ ამასწინანდელი მატჩი ტარტუში, რომელსაც დინამოელები საკმაოდ დამაჯერებლად იგებდნენ, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა, დათმეს ინიციატივა და დამარცხდნენ კიდეც.

მატჩის ბოლო წუთები საოცრად ჰგავდა ტარტუს დრამატულ სიტუაციას. სადღაც თვალსა და ხელს შუა გაქრა ოფლით ნაგროვები ქულები და ბოლოს სხვაობა ორ საცოდავ ქულამდე დავიდა. კიდევ კარგი, რომ დარჩენილ დროში „დინამომ“ მოახერხა „ბურთის დაჭერა“ და გამორიცხა დამატებითი 5 წუთის აუცილებლობა.

ნ. ბუბუშვილი.



სურათზე: ლ. მოსეშვილი მეტოქის ფარქვეშ ბრძოლის დროს.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ჩემპიონატის ბოლო მატჩი. თამაშობდნენ თბილისის „ბურევესტნიკი“ და კიევის ასკ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 68:67 (34:35).

## მოჭადრაკეები იბრძვიან თასისთვის

დნეპროპეტროვსკი, 4 აგვისტო. (საქინფორმი). დნეპრზე მდებარე ამ ქალაქს არასოდეს უნახავს მოჭადრაკეთა ამდენი ვარსკვლავი, რამდენიც ახლა შეიკრიბა. ჭადრაკის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია დიდოსტატთა „არმია“ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მ. ტალის თავკაცობით.

2 აგვისტოს ოლქის საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ გაიხსნა საჭადრაკო შეჯიბრებების ისტორიაში სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშება. მისი ჩატარების სისტემა აგებულია ოლიმპიურ და სამატჩო პრინციპებზე (4 ციკლი — 16 ტური).

დიდოსტატთა გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობენ საერთაშორისო ოსტატები, ქვეყნის მომავალი ჩემპიონატის ფინალისტები, აგრეთვე ახალგაზრდები, რომელნიც პირველად შეხვდებიან გამოცდილ მებრძოლებს.

მონაწილეთა რაოდენობაში მომხდარი ცვლილების გამო (ახლა ისინი 57 იქნებიან) 7 დიდოსტატი მედლებისთვის ბრძოლაში მხოლოდ მეორე ციკლიდან ჩაებმება. პირველ ციკლში (4 ტური) მონაწილეობას მიიღებს 50 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი, რომლებიც 25 წყვილად დაიყვნენ.

## პირველად...

მეგობრული მატჩების სათამაშოდ ამჟამად სსრ კავშირში პირველად იმყოფება აშშ-ს მოშაშეთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ამერიკის მრავალგზის ჩემპიონი ვ. ლენგელი, დეტროიტის ფოსტის მოსამსახურეები გ. ვილიამსონი, ს. ლუვესი, ინჟინერი დ. მეირისი, დალაქი გ. ჯენკინსი და ე. რუბინი. გუნდს ხელმძღვანელობს ამერიკის შაშის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი, ჟურნალის „ჭადრაკი და შაში“ რედაქტორი ლ. რუბინი.

— ამერიკაში უყვართ შაში, — ამბობს ლ. რუბინი. — თითქმის არავითარი განსხვავება არ არის ამერიკული და რუსული შაშის თამაშის წესებში. ჩვენს ქვეყანაში მოშაშეთა 20 კლუბია. შაშს თამაშობენ ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობაა. სამწუხაროდ, არ გვაქვს შაშის ლიტერატურა. ვსარგებლობთ საბჭოთა გამოცემებით.

ტრადიციად ვაქციეთ ქვეყნის ჩემპიონატი. ბოლო ტურნირში 300 კაცმა მიიღო მონაწილეობა. უსახსრობის გამო ჩემპიონატი... სამ დღეში დავამთავრეთ. ორი წელიწადია ვატარებთ ქალთა და ჭაბუკთა ჩემპიონატებს.

ამერიკელი მოშაშეები მოსკოველებთან მატჩში დამარცხდნენ.

— ვიცოდით, რომ თქვენ უკეთესად თამაშობთ. წაგებას ველოდით. ჩამოვედით კი იმისთვის, რომ ვისწავლოთ და თქვენთან მეგობრული კავშირი დავამყაროთ.

ამერიკელთა გუნდი მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა. ლენინგრადელებთან მატჩის შემდეგ იგი ესტონეთის ნაკრებს შეხვდება.

ნიდოვან ბილიკზე მოტორბოლაში შეჯიბრება მიმზიდველია არა მარტო იმიტომ, რომ გულშემატკივრები სტადიონის 400-მეტრიან წრიულ ბილიკზე მოასპარეზეთა გაბედულობის, მოქნილობისა და ტექნიკის მოწმენი არიან, არამედ იმიტომაც, რომ ბეჯრჯერ ასპარეზობისას გაუთვალისწინებელი, საინტერესო ამბებიც ხდება. თუ სერიაში მონაწილე ოთხივე მეტოქე ერთნაირად ძლიერია, მათი ჭიდილის ნახვას არაფერი სჯობს. ჩამორჩენილები დასაწინაურებლად გასაძრობს ეძებენ, მაგრამ ლიდერები, რომელთაც ტანის შემობრუნებით უკან მოხედვის უფლება არა აქვთ, საფრთხეს ინტუიციით გრძნობენ და გზას კეტავენ.

სწორედ დაძაბულ ბრძოლაში ხდება შეცდომები: რომელიღაც დაეცემა, იკარგება ძვირფასი წამები... კიდევ არაფერი, თუ ჩამორჩენილი დაეცა, მაგრამ ვაი, თუ ლიდერმა წაიფორხილა. მარცხს ხშირად ახალი მარცხი მოსდევს: მდევარი მანქანას ვერ აკავებს ან გვერდის აქცევას ვერ ასწრებს და ისიც მეტოქის ბედის მოზიარე ხდება.

აღგზნებული სპიდვეისტები დაცემის შემთხვევაში ზოგჯერ იბნევიან კიდეც, ძრავა არ ჩაქრება, გაზის მარეგულირებელს ხელს არ უშვებენ და... სწორედ ამის გამო იყო, რომ ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ საკავშირო მეოთხედფინალურ ტურნირში ალმაათელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. აიბაზოვმა „წისქვილი“ დაატრიალა — ვირაჟზე დაცემულმა მიწაზე რამდენიმე წრე მოხაზა.

სურათზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა აიბაზოვი მოტოციკლიანად მიწაზე ბზრიალებდა... ო. გელაშვილის ფოტო.



## დაწინაურდა ბ. ონიშჩენკო

ვარენდორფი (გფრ), 3 აგვისტო. თანამედროვე ხუთჭიდელთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში დღეს კიეველი ბ. ონიშჩენკო დაწინაურდა. ასე რომ, ამერიკელი რ. ბექი მხოლოდ ერთ დღეს იყო ლიდერი. მესამე სახეობაში — სროლაში ასპარეზობისას ონიშჩენკომ მას გაუსწრო და თანაგუნდელთან, მინსკელ ვ. ბელოვთან ერთად I-II ადგილები გაიყო (196-196 ქულა), თითოეულმა 1044 ქულა დაიმსახურა.

რაც შეეხება სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს ონიშჩენკოს, იგი შესანიშნავ ოსტატობას იჩენს პროგრამის ყველა სახეობაში. ბელოვის წარმატება სროლაში კი ერთგვარი ანაზღაურება იყო ჩემპიონატის სტარტზე საცხენოსნო კროსში წარუმატებელი გამოსვლისა.

ბექმა XI-XII ადგილები გაიყო უნგრელ პ. ბაკოსთან ერთად — 934 ქულა თითოეულს. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა, უნგრელმა ა. ბალცომ ამ სახეობაში IV-VII ადგილები გაიყო — 978 ქულა.

სამი დღის შემდეგ ონიშჩენკოს 3059 ქულა აქვს. II ადგილზეა ბექი (3011), III — უნგრელი პ. კელემენი (3009), IV — ბალცო (2940), V — ბაკო (2930), VI — ბელოვი (2751). საბჭოთა გუნდის კიდევ ერთი წევრი — ს. შაპარნისი IX ადგილზეა (2735).

საბჭოთა ხუთჭიდელებმა იზეიმეს გუნდური გამარჯვება სროლაში — 2978 ქულა. II ადგილზე არიან უნგრელები (2868), რომლებიც 8877 ქულით ლიდერობენ სამი სახეობის ჯამში. საბჭოთა ნაკრებმა უნგრელებთან ანგარიშში სხვაობა 110 ქულით შეამცირა და ახლა საერთო II ადგილზეა — 8536 ქულა.

ვუპრუნდებით ნაგებობა

## სხვა ჩემპიონები

უკვე ვიტყობინებოდით, რომ დანიაში ბაგსვერდის ტბაზე გამართულ VIII მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის სპორტსმენებმა ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში ოქროს 8 მედალი მოიპოვეს. მაგრამ ყველა ოქრო საბჭოთა სპორტსმენებს როდი ხვდათ. მათ მარცხის სიმწარეც იწვნიეს: ქალთა შორის ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე რბოლაში ლ. ბეზრუკოვასა და თ. შიმანსკაიას დუეტს რ. ბრაიერმა და რ. ესერმა (გფრ) პირველობა ხელიდან ზედ ფინიშთან გამოგლიჯეს (1.47,30), როცა მეტოქეთ 0,59 წამი მოუგეს.

კანოისტები ვ. კალიაგინი და ვ. დრიბასი 1000 მეტრზე V ადგილს დასჯერდნენ. მათ 10,87 წამი წააგეს ჩემპიონებთან — რუმინეთის დუეტთან, ს. კავალევთან და ი. პაცაიკინთან (3.42,12).

ვერც ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ვ. მოროზოვმა და ა. შაპარენკომ იმარჯვეს. ორადგილიანი ბაიდარით 1000 მეტრზე ასპარეზობაში ისინი ფინიშთან მხოლოდ მეოთხენი მივიდნენ — 3.22,93. მათ გაუსწრეს ავსტრიის, შვეციისა და გდრ-ის ნიჩბოსნებმა. ჩემპიონებმა გ. პფაფმა და გ. ზაიბოლდმა 3.19,47 აჩვენეს.

რედაქტორი მ. ჰაკაბაძე

თბილისი სპორტულ ბაზაზე

რადიოსპორტი. დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის რადიოკლუბი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 53). 5-9 აგვისტო. სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მრავალჭიდში. მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები. დასაწყისი 18 ს.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




სსრ კავშირის პირველობა
დღეს
I ჯგუფი
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „პამირი“ (დუშანბე)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 5 უე 00632